

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა <b>არქეოლოგია</b>
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	<b>არქეოლოგიის დოქტორი - Doctor of Archaeology</b>
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სადოქტორო პროგრამაზე სწავლება გულისხმობს 180 კრედიტის დაგროვებას, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: 60 კრედიტი - სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი სავალდებულო და 20 კრედიტი არჩევითი); სავალდებულო სასწავლო კურსი გათვლილია დოქტორანტის მიერ სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების შექმნაზე, ხოლო 120 კრედიტი უშუალოდ სამეცნიერო მუშაობაზეა გათვალისწინებული, საიდანაც 80 კრედიტი სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას ეთმობა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს არქეოლოგიური მეცნიერების დარგში საკვანძო მომენტების გამოკვეთას და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისათვის; მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლის საფუძველზე ახალი ცოდნის და ინფორმაციის შექმნასა და გენერირებას. კურსდამთავრებულს უნდა შესწევდეს უნარი, კრიტიკულად გააანალიზოს დაგროვილი ცოდნა, შემოქმედებითად განავითაროს იგი და პასუხისმგებლობით მოეციდოს სამეცნიერო ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.
სწავლის შედეგები  (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება.</b> აქვს დარგში, განსაკუთრებით კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის, შავი და ხმელთაშუაზღვისპირეთის არქეოლოგიაში დაგროვებული გამოცდილების მაღალკვალიფიციური ცოდნისა და მის წინაშე არსებული სპეციფიკური ამოცანების გადაჭრის უნარი; აქვს ევრაზიის ძირითად არქეოლოგიურ კულტურათა უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა და შეუძლია დაგროვილი ცოდნის ხელახალი გააზრება, საჭიროების შემთხვევაში გადაფასება და ამ გზით ინოვაციების დანერგვა;</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.</b> შეუძლია წარსულში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შენახვა, ასევე სამომავლო პროექტების განვითარება, რათა უზრუნველყოს არქეოლოგიური კვლევებისა და აკადემიური დისციპლინის მუდმივი განახლება;</p> <p>შეუძლია ისტორიული პრობლემების იდენტიფიცირება, წყაროების გამოყენების ახალი გზების მოძიება, დაკავშირება და შედარება, კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა, არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ისტორიული პროცესების ანალიზი;</p> <p><b>დასკვნის უნარი.</b> ევრაზიის არქეოლოგიურ კულტურათა კომპლექსური შესწავლა, შეპირისპირება და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება; არქეოლოგიური კვლევისას წამოჭრილი პრობლემების სისტემური გაცნობიერება, ანალიზი, მათი გადაჭრის სტრატეგიის დაგეგმვა და სწორი დასკვნის გაკეთება;</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი.</b> დოქტორს, როგორც თავისი დისციპლინის ლიდერს, შეუძლია კომუნიკაცია ნებისმიერ დონეზე როგორც პროფესიულ, ისე ფართო საზოგადოებასთან და შესაბამისი ინფორმაციის გასაგებად მიწოდება ყველა დაინტერესებული მხარისათვის;</p> <p><b>სწავლის უნარი.</b> შეუძლია მიღებული ცოდნის მუდმივად განახლება, გენერირება, ტრანსფორმაცია და მეცნიერების შესაბამისი დარგის ორიგინალური იდეებით გამდიდრება კვლებისა და სწავლების პროცესში.</p>

	<p><b>ღირებულებები.</b> კვლევის შედეგების სამეცნიერო მიმოქცევაში შეყვანა და დამკვიდრება; დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასა და სასწავლო პროცესში ინოვაციური ღირებულებების შეტანა და დანერგვა.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p><b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b> ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p><b>სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება სისტემის მიხედვით:</b></p> <p>ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;</p> <p>ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;</p> <p>გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;</p> <p>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;</p> <p>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p><b>ამირან კახიძე</b>, ემერტუსი  ტელ.: 599 15-41-50.  <b>შოთა მამულაძე</b>, პროფესორი  ტელ: (+99599) 35 21 20 ; 577 59 19 01  ელ. ფოსტა: shota.mamuladze@bsu.edu.ge</p>